ეროვნული ბიბლიოთეკა


# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|
| ერთი წლისა — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა — 1 მ. | — 1 მ. — |

**მეხუთე წელიწადი**

**გამოდის თვეში ორჯერ**

**ხელის-მოწერა მიიღება:**

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира-*

№ 14 შაბათი — ٧ — 30 ივლისი, 1872 წ.


**შინაარსი:**


**სამეცნიერო ნაწილი:** — წყლის ქვემოთ ნაწილები. **საქართველო:** — ჩვენი ქვეყნის ამბები. — კახეთიდამ. — რაჭიდამ. **სავაჭრო ნაწილი:** — კურსი. — ტფილისის ერთმანეთის ნდობის საზოგადოების წესდებულება. —


## სამეცნიერო ნაწილი

### წყლის ქვემოთ ვოლკანები

ძალიან ხშირად სჩნდებიან უკეანეზე ახალი კუნძულები, ამათ გაჩენას ხსნიან წყლის ძირის ვოლკანების ძალით. ამისთანა მოვლინებანი ჩვენ საუკუნეშიაც ხშირად მოხდებიან ხოლმე. 1811 წელს წყლის ძირიდამ მიწამ ამოიღო ქვეთქა ასორის კუნძულების სიახლოვეს, რომლის შერმე გამოჩნდა ახალი კუნძული, გარეშემო მიიდი ვერსი ჰქონდა და შუაზე ვოლკანის ყელი. ეს გამოჩნდა 1811 წელს ივნისში და დაარქვეს სობრანის კუნძული. ოკტომბრიდამ დაწყებული ეს კუნძული თან-და-თან იმალებოდა და უკანასკნელათ სულ დაიმალა. ამ უკიანის ნაწილზე უწინაც ხშირად ყოფილა ალის და კომლის ქვეიდგან ამოსვლა, გაზაფხულზე 1814 წელს უნალაშკის სიახლოვეს, ალეუტის არხი პელაღზე გამოჩნდა კუნძული, რომელზედაც იყო მთის წვერი სიმაღლით ას-ორმოცდა-ორი საჟენი. ეს კუნძული სჩნდა ერთი წლის შერმე ძალიან მოკლებული. რამოდენიმე წლის წინათ (1796) ამავე არხიპელაღზე ამგვარათვე ამოიწია ზღვის ძირი. ეს კუნძული ოთხი წლის შერმე ისვროდა კომლსა და ორთქლს. 1804 წელს ამ კუნძულის ახლოს გაიარა ერთმა გემმა და მეხომალდეებმა ნახეს, რომ ამ კუნძულის ზედა პირი ისეთი ცხელი იყო, რომ ახლოს გავლა არ შეიძლებოდა. თუმცა ბევრი ამისთანა მოვლენანი მოხდა, მაგრამ სუყველას არ ავსწერთ და სჯობს, რომ ყურადღება მივაქციოთ უფრო შესანიშნავს ამათგანში. რამდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა ფერდინანდის კუნძულზე, რომელიც გამოჩნდა ზღვის შუა, სიცილიის სამხრეთ დასავლეთის ნაპირზე, სოფლის სკიაჩისა და პანტელიარის კუნძულის პირ-და-პირ. ეს კუნძული გამოჩნდა 1831 წელს 28 ივნის; ამ დღეს სიცილიის გემის მეხომალდეებმა დაინახეს, რომ ყოველი ხუთმეტი მინუტის შერმე, ორი მინუტის განმავლობაში, ზღვა ისვროდა წყლის სვეტს თორმეტი საჟენის სიმაღლეს, დიდის ხმით თითქო ჭექა ყოფილიყოს. ამ სვეტიდამ ავიდა მაღლა სქელი ღრუბელი, რომელიც იყო ზღვის ზევით. ზღვა ამდროს ძალიან ღელავდა და ისვროდა ზვირთებს. აქაფებული ზვირთები ისვროდენ ძალიან ბევრ მკვდარ თევზებს. ზემოხსენებული გემის კაპიტნის კორრას სიტყვით, 10 ივლის წყლის სვეტის სიმაღლე იყო ოცი საჟენი და სიმსხო ოთხასი საჟენი. რამდენიმე ხნის განმავლობაში სოფ. სკიარას მცხოვრებლებმა შეატყვეს, რომ ჰაერში იდგა გოგირდის სუნი და დაინახეს წყლის ზედა პირზე ამოგდებული მკვდარი თევზები. მეთევზეების ნავები დიდის გაჭირვებით ცურავდნენ ამათ შუა. მეორე დღეს კიდე მოსჩანდა კომლის სვეტი წყალზე, რომელიც ღამე ხდებოდა ალის ფერი. ხანდისხან ისმოდა გრიალი და ღამე სჩანდა ელვა. 18 ივლის კორრამ ნახა ამ ადგილას კუთნული ვოლკანის ყელით, რომელიც ისვროდა მაღლა ქვებს და ამოდიოდა ოშხივარი: მუდამი ამოქუხვა იყო ივლისის გასვლამდის. ამდროს ეს კუნძული ნახა ერთმა პრუსსიის ღეოლოღმა გოფმანმა. ძლივს გაჭირვებით გაბედვინა ამან მეთევზეებსა, რომ მიეყვანათ ამ კუნძულის სიახლოვეს. ისინი დათანხმდენ მაშინ, როდესაც ის დაჰპირდა ბევრ საჩუქარს და ვინმე მათგანი თუ მოკვდაო ოჯახს საზრდოს გაუჩენო. 24 ივლის მთელი ღამე იცურვეს და მიუახლოვდნენ კუნძულს ერთ ვერსტზე, რადგანაც ახლო მისვლა არას გზით არ შეიძლებოდა. აქ იყო ძალიან დიდი ღელვა და ვოლკანი ისვრიდა ქვებს, რომელიც ვარდებოდა ნავში. ამ მანძილიდამაც შეიძლებოდა ამ მოვლენის დათვალიერება. კუნ-

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ძული იყო შემდგარი სხვა და სხვა ვოლკანის ამოსროლილ საგნებისაგან. ისინი ვარდებოდნენ ვოლკანის ყელთან და რასაკვირველია კუნძულს ადიდებდნენ. ნახვრეტიდამ ამოდიოდა ოშხივარი თეთრი, როგორც თოვლი. ეს ოშხივარი შეადგენდა მთელ სვეტს, რომელიც იყო განათლებული მზის სხივით. ამ სვეტის სიმაღლე იყო სამასი საჟენი. ხანდისხან ვოლკანის ყელიდამ ვარდებოდა ქვები და რამოდენიმე ხნის განმავლობაში ჰყრიდა ბევრს ნაცარსა და ფერფლს და ისმოდა შიშინი ცხელი ქვის წყალში ჩავარდნის დროს. ცოტა ხნის მერმე გახდა ლეწა ჰაერში ქვების ერთმანეთზე მიხლით. ვოლკანის ყელიდამ აღარ ამოდიოდა ალი, მაგრამ როდესაც ამოქუხდა გაძლიერდა, მაშინ სინათლე ელავდა შავ ფერფლში და ყოველთვის ისმოდა ჭექა. კუნძულს ჰქონდა სიმაღლე ოცდა-ოთხი საჟენი და გარშემო ერთი ვერსტი მერმე ვოლკანის ძალა თან-და-თან დასუსტდა და თორმეტს აგვისტოს სულ დაწყნარდა.

შუა ზღვაზე ახალი კუნძულის გაჩენამ, მისცა ხალხს ბევრი სალაპარაკო. ზოგნი ამბობდნენ, რომ ვოლკანის ძალით ამოიწევა პწკარი კუნძულის და გაკეთდება მიწის ყელი, რომელიც შეაერთებს იტალიას აფრიკასთან. გოფმანს გარდა ყველა სწავლულებმა ისურვეს ამ საქმის ახლო შეტყობა და ამ განზრახვით წავიდნენ კუნძულზე. ეს კუნძული სჩანდა შავათ, ორი მაღლობი ადგილი იყოფებოდა დიდი მინდვრით. მისასვლელათ მარტო ერთი ადგილი ვარგოდა ის, რომლის მხრითაც ოშხივარი ამოდიოდა. ვოლკანის ყელს გარშემო ჰქონდა ოცდა-ათი საჟენი და იყო სავსე წითელი წყლით, რომელიც თითქმის დუღდა. ყოველი გაბზარულიდამ ამოდიოდა ოშხივარი. თითონ მიწა იყო ძალიან ცხელი

თვრამეტი წლის შემდეგ კუნძული ისე დამდაბლდა, რომ მის მაგივრათ დარჩა ფონი. ჯერ ეგონათ, რომ კუნძული გაჩნდა ზღვის ქვიანი ძირის ასწევით, რომელზე დაეყარა ფერფლი და ქვიშა. მაგრამ ზვირთებმა მოსწმინდა კუნძული ძირამდი; მაშასადამე კუნძული აღარ ამოსწეულა.

ეხლა ვილაპარაკოთ იმ ამოქუხებაზე, რომელიც მოხდა სანტორინის კუნძულის სიახლოვეს, რომელზედაც 1866 წ. სწერდნენ ყველა გაზედები და ჟურნალები, როგორც გასაკვირველ მოვლენაზე.

II

კუნძული სანტორინს აქვს ნალის სახე მის პირ-და-პირ სძევს ორი პატარა კუნძულები—ტერეზია და ასპრონისი. ეს სამი კუნძული ერთხელა ირგვლივ არიან შემოწყობილნი და მათ შუა არის ზღვის უბე; ზღვის უბე ერთვის ზღვას სამი თ ხ რ ი ლ ი ს შემწეობით, რომელნიც არიან კუნძულების შუა. ძველ დროში ორი სამხრეთის გასავალი არ იყო; მარტო ჩრდილოეთის გასავალი იყო, იმ დროში. 1866 წ. ამოიქუხა ზღვის უბის შუა პატარა კუნძულების სიახლოვეს, რომელთაც ერქვათ კამენი (ნამწვრები) ეს სამივე კუნძული არის გამოჩენილი ისტორიის დროს. ყველაზე ძველ კუნძულს ეძახიან პალეა-კამენი (ძველი ნამწვი მეორე—მიკრაკამენი (პატარა დამწვარი) და ახალი-ნეა-კამენი. (ახალი დამწვარი).

ეს უკანასკნელი გამოჩნდა 1707 წ. ძალიან დიდი ამოქუხვის მერმე, რომელიც გაგრძელდა ხუთ წელიწადი. 1707 წლიდამ 1866 მდი აქ არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა, მაგრამ, რამდენჯერმე გამოაჩინა თავისი ძალა პატარა ზღვის გუბეში, რომელიც სძევს ნეა-კამენის სამხრეთზე. ამ პატარა ზღვის გუბეს დაარქვეს ვოლკანო, რადგანაც ამაში არ დაწყნარებულა სხვა და სხვა ვოლკანის მოვლენანი. ამ ალაგას ზღვას ჰქონდა მოწითალო ფერი, ჰაერში იდგა სუნი წამხდარი კვერცხებისა. ამისთანა ორთქლს ძალიან გავლენა ჰქონდა ზღვის ცხოველების დახოცვაზე, ამის გამო გემები, რომლის ქვედა ნაწილი იყო დაფარული სხვა და სხვა ხვინჭაებით და მცენარებით, შედიოდენ ამ უბეში და ორი დღის მერმე სრულებით გაწმენდილები გამოდიოდნენ.

ზღვის წყალში იყო ბევრი რკინა და მარილი, ამ წყალს ძალიან კარგი გავლენა ჰქონ-
და კაცის აგებულებაზე. რადგანაც ნეა-კამენს
ჰქონდა კარგი მდებარეობა, და კარგი გავ-
ლენა სხეულზე, ამის გულისთვის აქ მოდი-
ოდნენ ბევრნი საბანებლათ სანტორინის კუნ-
ძულიდამ· მდიდარმა მცხოვრებლებმა აქ გა-
იკეთეს საზაფხულო სახლები, ზაფხულში ა
იდგნენ და ზამთარს კი თითონ გადადიოდენ
და სტოვებდენ მარტო სახლის მცველს.

დილას 30 იანვარს 1866 წელს სახლის
მცველმა შეატყო, რომ მისი სახლის თავ
გამსკდარიყო. შეხედა თავის მეზობლების სა-
ხლებს და ისინიც იმნაირ მდგომარეობაში
იყვნენ, მაშინ იმან იფიქრა სწორეთ ლამ
ჯოფილა მიწის ძვრა. ერთი დღის განმავ
ლობაში გახეთქილი ნაწილები თან-და-თან
დიდდებოდენ. დიდი უშველებელი ქვები ვარ-
დებოდნენ ნეა-კამენის ვოლკანის ყელიდამ
საწყალი სახლის მცველის ოჯახი კიდევ უ
რესათ შეშინდა როცა გაიგონეს მიწის ქვე
გრიალი. მეორე დღეს უფრო დიდი გრიალ
ისმოდა მიწიდამ და ძვრაც უფრო გაძლიერ
და, უბე ვოლკანი, მგონი, ყველაზე უფრო
ბევრს ითმენდა ამ მოვლენიდამ. წყლის სით
ბო გადიდდა წყლის ზედა ნაპირზე გამოჩნდ
ნენ პატარა ბუშტები თითქო წყალი აპირებ
და ადუღებას. მიწა თან-და-თან ქვეით ისწ
ოდა. სახლის მცველის ოჯახი ძალიან შე
შინებული იყო, მაგრამ ჯერ არ აპირებდნენ
თავიანთ სახლის დატოვებას. მეორე ლამ
მიწის ძვრა გაძლიერდა ასე, რომ ეშინოდათ
რომ არ დალუპილიყვენ თავიანთი სახლი
ქვეშ. დილას ერთი საათის წინ მზის ამოს
ლამდი დაინახეს ალი, რომელიც ამოდიოდ
თითქოს წყლიდამ, ამ სინათლემ გაანათლ
ლავა, რომლის ნაირი იყო ამოქუხვილი
1707 წ. მაშინ შეშინდენ ძალიან, აიღ
ნავი და ამნაირათ დაიცვეს თავი კუნძულ
სანტორინზე.

ყველა მცხოვრებლები შეშინდნენ, მოიგო
ნეს გასული საუკუნის მოვლენა. რამოდენიმ
ნაწილი მცხოვრებლებისა, გაიქცნენ, ზოგმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნა სირუში ძვირფასი ნივთები და რომელიც გამბედავები იყვნენ ისინი მივიდნენ იმ ალაგას სადაც იყო ამოქუხვა და ორი დღის მერმე უყურებდნენ როგორ გამოჩნადა ახალი კუნძული. ყველანი ისხდნენ ზღვის ნაპირზე; უეცრად ვულკანოს გუბის შუადამ გამოჩნდა პატარა გორა; მერე მეორე და უკანასკნელად მესამე. ეს პატარა გორები თან-და-თან მაღლდებოდნენ მერე უეცრათ დაინგრა სიმაღლე მოაკლდა, მაგრამ მის ნაცვლად დიდდებოდა გინზე, იმოდენა გახდა, რომ გუბე ვოლკანო სულ დაიჭირა; ეს იყო შემდგარი ლაკისაგან. სამი დღის ლაპარაკის მერმე ამ კუნძულს დაარქვეს კაროლი გიორგის სახელი.

გორაკები, რომელიც უწინ გამოჩიდნენ იყვნენ ცივნი და მოიტანეს სხვა და სხვა ნაირი ნამტვრევები, რომელნიც, რასაკვირველია, იყვნენ ზღვის ძირიდამ, მაგრამ ცოტა ხანს იქით მათ შორის გამოჩნდნენ გაცხელებული და გამდნარი ნაწილები. გიორგის კუნძული თან-და-თან დიდდებოდა და უკანასკნელათ შეერთდა ძველ კუნძულთან და ერთხელა შეერთებით გააკეთეს კონცხი.

მალე სამხრეთ-აღმოსავლეთის ნეა-კამენის ნაწილზე შეატყვეს, რომ ზღვის წყალის სითბო გადიდდა და იმისგან ამოდიოდნენ ჰაერ გვარი ბუშტები. 8 თებერვალს, უეცრად ზვირთებიდამ ამოვიდა წყლის სვეტი, სმერჩის გვარათ, რომელსაც ამოჰყვა პემზა და ლავა. წყლის ქვეშ გახდა ლეწვა და 13 თებერვალს გამოჩნდა ახალი კუნძული, რომელიც პირველზე უფრო მალე იზდებოდა. ამასობაში საბერძნეთის მართებლობამ გამოგზავნა ხომალდით ხუთი გამოჩენილი სწავლულები ხომალდს ერქვა აფროსა, და ახალ კუნძულსაც დაარქვეს ეს სახელი.

ამ გვარად, გამოჩნდა ორი კუნძული, ერთი ჩრდილოეთის, მეორე სამხრეთო-აღმოსავლეთის ნეა კამენის კუნძულის მხრით. 19 თებერვალს აფროესა გაჩერდა ორი კუნძულის შუა მიტრა-კამენის და ნეა-კამენის. ღამე გავიდა წყნარათ; მაგრამ მეორე დღეს სწავლულებმა ნახეს რომ წყლის სითბო მომატებულია, ფერი გაუხდა უფრო მოშაო. გიორგის კუნძულიდამ ამოდიოდა ოხშივარი გოგირდის ფუზები ამოქუხვის გარშემო იყვნენ გაცხარებულ საქმეში. სწავლულებმა არ მიაქციეს ამას ყურადღება და გულსმოდგინეთ უყურებდნენ ამ მოვლენას, ისინი ერთხელა მოგროვდნენ და ავიდნენ ძველ ნეა-კამენის ვოლკანის ყელზე... როგორც რომ გაათავეს თავის შენიშვნები, უეცრად გაიგონეს საოცარი გრიალი გამოვიდა დიდი შავი კომლის სვეტი, რომელიც შემოეხვია ჩვენს სწავლულებს, მერმე მათ თავზე დაეცათ გაცხელებული ქვები და ნაცარი, იმათ დააგდეს თავიანთი ინსტრუმენტები და გაიქცნენ დასამალავათ, ზოგნი მიეფარნენ უწინდელ ვოლკანოს გორას. ერთი სიტყვით ყველამ იშოვეს შესაფარავი ადგილი, ერთი სწავლულთაგან, ხრისტომენოს ჰქონდა დასაფარავათ ერთი გახეთქილი ქვა, რომლის ქვეშ ქონდა შეფარებული მარტო თავი, სხვა ტანის ნაწილი იყო დაუფარავი. საბედნიეროთ ერთი დიდი ქვა არ დაცემია, მაგრამ პატარა გაცხელებულმა ქვებმა დაუწვეს ტანსაცმელი და ატკინეს თავი. ერთი დიდი ქვა ამოვარდნილი ვულკანის ყელიდამ დაეცა იმ ქვას რომლის ქვეშაც იყო დაფარული ხრისტომანეს და პატარ-პატარა ნაწილებათ დაამტვრია. ხრისტომანეს უნდა გადაერბინა ცეცხლი, რომელიც ამოდიოდა ვოლკანის ყელიდამ, რომ ეშოვნა უფრო კარგი თავის შესაფარი. ცოტახანს იქით ყველანი მივიდნენ ხომალდზე ცოცხლები მაგრამ აქ ნახეს რამოდენიმე ხომალდის მოსამსახურეები (***Матросъ***) დაჭრილი. გაცხელებულ ქვებს სულ ჩაეტეხათ ზედა ხომალდის ნაწილი. მეორე გემზე, რომელიც იდგა იმათ სიახლოვეს, დაეცა გაცხელებული ქვა კაპიტანს და იქავ მოკლა. გემის მოსამსახურეებმა გადაიტანეს ნაპირზე თავისი კაპიტნის გვამი და თითონაც თავის ბარგით გადავიდნენ. ცოტა ხანს უკან ეს გემი დაიწვა. რაც შეეხება აფროსერას ეს ისე მაგრა იდგა, რომ მოსახსნელად დასჭირდა ჯაჭვების დაჭრა.

ამ შემთხვევის მერმე, ამბობს საფრანგეთის სწავლული ფუკე, არავის თავში არ მოსვლია მობრუნება ნეა-კამენზე, და 2 თებერვლიდამ დაწყებული მე და უფ ვერნელის მეტს არავის არ გაუბედნია ამ კუნძულზე მოსვლა. როცა მე და ვერნელი მოველით სანტორინზე, მაშინვე მოვინდომეთ ნეა-კამენის ნახვა, მაგრამ არცერთმა სანტორინის გემის მოსამსახურემ არ გაბედა ჩვენი იქამდი მიყვანა, მაგრამ იმ საქმეში შეგვეწია ავსტრიის გემის უფროსი «რეკა,» და ჩვენ წავედით ნეა-კამენზე. წყლის პირას თითქმის ყველა სახლები იყო ჩანგრეული და ზოგნი ნახევარზე წყალში იყვნენ. გიორგის კუნძული ამოსულიყო და გაეკეთებინა კონცხი, რომელიც შედიოდა ზღვაში, სამხრეთით, კუნძულის თავი რამოდენიმე ალაგას იყო დახეთქილი და ამოდიოდა სხვა და სხვა ნაირი ჰაერ გვარი ბუშტები ზოგან დუღდა. ჩვენ მივედით აფროესის კუნძულზე. თხრილი, რომელიც აფროსეს და ნეა-კამენს იყო ვიწრო 20-25 მეტრი სიგანე, 200 საჟენი სიგრძე. წყალი აქ საშინლათ დუღდა სიცხისაგან. იქიდგან ამოდიოდა ორთქლი, ისე რომ ჩვენ თითქოს აბანოში ვიყავით. ჩვენ არ უყურეთ იმას რომ თხრილი იყო ვიწრო და გავიარეთ ხშირად ვხედავდით ლავას, რომლისგანაც გამოდიოდა მოსაკიდებელი გაზი. როგორც, რომ მიუახლოვებდი სპიჩკას მაშინვე გაუჩნდებოდა ცეცხლი და დიდ მანძილზე სწევდა.

მე მსურდა ახლოს დამენახა ცეცხლი, ამიტომ ღამე ჩვენ ავედით გორგზე და აფრესზე. ორივეს ზედა ნაწილი ენთო, როგორც კოცონი. სანტორინის სწავლულები ამბობდნენ, რომ ეს ცეცხლი არ იწვისო. იმათ დასარწმუნებლათ ჩვენ ვცდილობდით, რომ მოგვეკიდებინა რამე, ჩვენ მივიტანეთ დამწვარი ქაღალდი და სიგარი.

ცოტა ხანს იქით ჩვენ შემოუარეთ აფროესას და დავინახეთ ახალი კუნძული, რომელსაც დავარქვით «რეკა» მადლის გადასახდელად ავსტრიის გემების უფროსთან. ეს კუნძული თან-და-თან იწევოდა ზევით და სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის მერმე შეერთდა აფროესთან; ცოტა ხანს მერმე ორივე კუნძულები შეერთენ ნეა-კამენთან გახდა ერთი კუნძული ორი კონცხიანი.

ამის მერმე ცოტა ხნით დავტოვე სანტორინი, რადგანაც ახალი მოვლენაები ალარაფერი ყოფილა. მაისში მე უკანვე მოვბრუნდი სანტორინზე

დიდი ცვლილებაები მომხდარიყო ჩემ აქ უმყოფლობაში. გიორგი და აფროესსი გადიდებულიყვნენ ლავისაგან. ნეა-კამენის ნაწილზე ალარ იყო ლავა. გახეთქილ ალაგებში, სიგანით 1 მეტრი, სწორა მიდიოდნენ 20 მეტრზე ნაკვეცები ძალიან მაგარი ლავასი. ამ გახეთქილ ნაწილში მიდიოდნენ ცხელი წყლის ნაკადული. წყალი დუღდა და გამოდიოდა გაზის ბუშტები. თუ იმათთან მიუახლოვებდი სპიჩკას ცეცხლი მაშინვე ეკიდებოდა ნაკადულს თავიდამ დაწჩებული მის ბოლომდინ.

ამას გარდა, იმ ალაგს, სადაც წინეთ იყო ძალიან ცხელი გოგირდის ფუზები მომხდარიყო შესანიშნავი მოვლენა. აპრილის უკანასკნელ რიცხვში, უეცრად, ძირი ამოვარდა ისე რომ, შეიძლებოდა თქმა, რომ მისი კვალიც არ დარჩა. ეს ხმაურობა ეთანასწორებოდა იმ ხმაურობას, როდესაც თოფის წამალი (*порохъ*) გასთქება.

შიგნით იყო ჩაღრუჭნული ალაგი 40 მეტრი შიგნით,—ნამდვილი ვოლკანის ყელი, რომლის ნაპირები იყო დაფარული რკინის ნაკეთებით.

მაშასადამე აქ გაჩნდა ამოქუხვის ვოლკანის ყელი, მაგრამ ლავა არ გამოდიოდა. ნეა-კამენის კონუსი, რომელიც გამოჩნდა 1707 წელს, აგრეთვე ცოტათი გამოცვლილიყო. მარტის პირველ რიცხვში იმაზე გამოჩნდა ორი ნახეთქი, ეს ნახეთქები თან-და-თან დიდდებოდნენ. ხანდისხან აქედამ ამოდიოდა გოგირდ-წყალთავას გაზი, რომელიც თავბრუს ასხამდა და გულს ურევდა.

მარტში 1867 წელი მიწის ქვეშ იყო გვრვინვა და ლავა გამოდიოდა ხუთ ნაკადულათ.

---

# საქართველო

## ჩვენი ქვეყნის ამბები

კავკასიის სხვა და სხვა ადგილებიდამ მოგვდის ამბავი, რომ არა გვეშველა, წვიმა არ მოდის და ეს უწვიმობა და გვალვა ნამუშევრის სრულებით გაფუჭებას გვემუქრებაო. ზოგან თურმე თვეზე მეტია, რაც ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა ზეციდამ და თან საშინელი მყუდრო და ცხელი ჰაერი დგას.

ტფილისშიაც ეს თითქმის თვე ნახევარია, რაც წვიმა არ მოსულა და სულის-შემხუთავი სიცხე გვაწუხებს. ზოგიერთ ქუჩებზე თითო მტკაველა მტვერი ყრია და როცა ცოტა ქარი ადგება, კაცი ვერ გაივლის, ისეთი მტვერი დგება. წასულ კვირას (აგვისტოს 13-ს) ცოტა წვიმა მოვიდა, მაგრამ ამ წვიმამ მხოლოთ სახლების სახურავები და ხეების ფოთლები ჩამორეცხა; სრულებით გამშრალი და გაცხელებული მიწა, მგონი, ერთ გოჯაზე არ დაუსველებია.

* * *

ერთი ჩვენი ქიზიყელი კორრესპონდენტთაგანი, უფ. სარქისოვი, გვწერს, რომ ალაზან გაღმა ტყეს ცეცხლი მოჰკიდებია, ერთ კვირაზე მეტია, რაც იწვისო, მაგრამ ჯერაც ვერ გაუქვრიათო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ქიზიყში მკათათვის ოციდამ ჯერ აქნობამდი არ მოსულა წვიმა, (წიგნი 12 აგვისტოს არის დაწერილი). «ხალხი ცალკე თავის ცოლ-შვილზე ზრუნავს და ცალკე არ იცის, პირუტყვს რა უყოს, რადგან მინდვრებზე ბალახი სრულიად არ არის. ვენახები, რაც სეტყვას გადურჩა, მზემ დაწვა.»

* * *

ქუთაისის გუბერნიის უეზდის უფროსებსა და პოლიციებს შემდეგი მიწერილობა მოუვიდათ უფ. სამხედრო გუბერნატორისაგან:

«კავკასიის აქეთა მხრის სახაზინო პალატის მოწერილობიდამ სჩანს, რომ ზოგიერთ ქუთაისის გუბერნიის ქალაქებს, მაგალითად: ქუთაისს, ფოთს, ოზურგეთს და რედუტ-კალეს და აგრეთვე ქუთაისის, ოზურგეთის, შორაპ
ნის უეზდებს ბევრი სახელმწიფო ხარჯი
ჯერაც არ გადაუხდიათ წასული წლებისა.
ამის გამო ფიცხელ მიწერილობას ვიძლევ
პოლიციებსა, რომ ამ საგანს ყურად-
ღება მიაქციონ და ყოველი საშუალება მიი-
ღონ, რომ რაც შეიძლება მალე და უბრდა
კოლებრივ შეკრიბონ წასული წლების გა-
დასახადი—ხარჯი.»

---

კახეთიდამ. ივლისის 30-ს

სასიამოვნოდ ჩვენდა, წლეულს, განსაკუთრებით
თელავის უეზდში, ძრიელ კარგი იყო პურის
მოსავალი; მაგრამ ამ მოსავალმა უმეტეს ნაწილს
სრულებით ფუჭათ ჩაუარა, რადგან ღამე არ გა-
ივლის, რომ ცეცხლი არ გაჩნდეს სადმე და ორ-
სამგან არ დაიწვას ძნა საძნეთურთ. ეს ძნის და-
წვა უფრო ხშირია მდ. ალაზნის გარემემო სოფ-
ლებში, მაგ. სს. ახატელში, რუისპირში, არტო-
ზანში, გულგულაში, ნაფარეულში და სს. ძრიელ
დიდ ზარალს აძლევს ამჟამად ჩვენს ხალხს ე
ცეცხლი. თვითონ იფიქრეთ: მთელი წლობით
კაცს ლუკმა-პური უწყდება და ოჯახი ეღუპება
ზოგიერთები ამბობენ, განგებ უკიდებენ ვიღაცები
ცეცხლსაო და ძრიელ ცდილობენ შეიტყონ და-
ნაშავენი, მაგრამ ვერასფერით ვერ შეიტყეს; ისინი
უეცრივ ერთს სპიჩკას აძლევენ თურმე ძნასა და
მირბიან თავის საშველად. მხოლოდ უნდა ვსთქვა,
რომ ეს ბოროტ-მოქმედება პირველად გაჩნდა ს.
ახატელში, იქაურ მცხოვრებ თათრებს შორის.
ისე იფიქრეთ, რომ მინდვრიდგან რომ ძნით სა-
სე ურემი მოდიოდა, თუ უკან არავინ მოსდევდა,
აძლევდნენ ცეცხლს და საქონელს ძლივს ასწრობ-
დნენ, რომ გამოუშვათ ურმიდგან. ამ ცეცხლმა დიდ
ზიანი მისცა ერთს ს. არტოზანში მცხოვრებ
თავადს უ. გრიგოლ მაყაევს. 26-ს ივლისს შუა-
ღამისხანს უეცრივ ნათელმა გააღვიძა მოხუცებულ
დედა ამ კაცისა და ნახა, რომ ცეცხლი ახალ
ოკიდებული აქვს ძნას. დაიწყო წივილ-კივილ
ხალხის გასაგონათ; მაგრამ ხალხმა დიდ ხანს ვე
შეიტყო, სანამდისინ ეკკლესიის ზარები არ და-
რეკა. მართალია, მაშინ ხალხი შეიკრიბა, მაგრა
სრულებით ვერა გადაარჩინეს რა. დაიწვა: ასი უ

რემი სულ წმინდა მნა, ორი ტარანტასი, მასალა რვა ახალი პოვოსკებისა, ორმოც ადლიანი ქვითკირის სამნე და გომური თავის ხე-ტყეთი.

ამ პურიდგან ცარიელ დარჩომას, როგორც იქნებოდა კაცი, უმეტესად გლეხი, მოითმენდა, თუ პატარა იმედი მიეცა სიმინდის და ღვინის მოსავლის; მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ამათ უფრო სრულებით იმედი გადაუწყვიტეს: ხანგრძლივმა გოლვამ ისე ამოახმო სიმინდი, რომ ცარიელი გამხმარი ღეროები დგას, და ყურძნის მარცვალი ისე ჩამოაჭკნო, რომ ხორბლის მარცვლის ოდენაა. თვით თქვენ იფიქრეთ, რა კეთილი დაეყრებოდა დედა-მიწას, რომ 1-ს ივლისიდგან ცვარი არ დასცემია. ამ კახეთში სულ რვა სოფლის ვენახები ირწყვება, დანარჩენი კი ისრე ამოახმო ამ გოლვამ, რომ არ ვიცი, რა ნუგეში უნდა ჰქონდეს ხალხს მომავალი ზამთრისათვის. სოლო ეხლა კი ამათი ნუგეში არის: პარაკლისებას ხდა და ცრემლის ღვრა.

ი. მ—შვილი.

სოფ. იყალთო.

---

რაჭიდამ, აგვისტოს 2-ს

რაჭაში იმისთანა გვალვა არის, რომ ყოველი ნამუშევარი წაახდინა; მცხოვრებლები ძლიერს მწუხარებაში არიან, რადგანაც ამნაირის გვალვის წყალობით, მათგანი არც ნახევარი ნაწილი ნახევარი წლის სარჩოს არ მოელის. ისრე უდროვოთ ახუხა სიმინდები ნამეტანმა სიცხემ, რომ ტაროს მარცვლის გაკეთება არ დაასცალა და ყურძენი სანახევროთ გაახმო. მიწა ალაგ-ალაგ ისეთ ნაირათ დამსკდარია, რომ ცხენს თუ უეცრათ ფეხი ჩაუარდა, მოიტეხს.

მთებზე ტყეებს ცეცხლი ეკიდება ხშირათ და საშინელი ბურუსი არის გამდგარი.

თუ ამ თვემაც ასრე უწვიმოთ გაიარა, მგონია, მთლათ დაიწვას დიდი მთები და ვისაც იმაში ნამუშევარი აქვს რამე, ისინი, რასაკვირველია, ულუკმა-პუროთ დარჩებიან. მღვდლები და ხალხი წვიმის მოსვლისათვის ხშირად ლოცულობენ, მაგრამ წვიმის მოსვლას არა ეშველარა....

მისი ყოვლად უსამღვდელოება იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ამ ჟამად რაჭაში მოგზაურობს და არ აკლებს ხალხს თავის გონიერ ქადაგებას. მაგრამ მამასახლისები ვერ აძლევენ შემწეობას ხალხის თავმოყრით და მით ძლიერ ბევრი კაცი და ქალები სრულებით აკლდებიან მის ნიჭიერს დარიგებებს.

ეფრემ შარაბიძე.

სოფ. სადმელი.

---

# საექიმო ნაწილი

## კუმისი

უბრალო ხალხში ხან-და-ხან ზოგ ისეთს წამლებს ხმარობენ, რომელნიც მართლა გამოსადეგნი არიან რომლისამე ავათმყოფობისათვის; ხალხი დიდი ხნის გამოცდილებით, ზოგჯერ ისეთს წამალს მიაგნებს, რომელიც, სწავლული ექიმების შემოწმებით, ნამდვილათ შველის ზოგ ავათმყოფს. ერთ ამისთანა წამალთაგანს ეკუთვნის კუმისი, რომელზედაც ახლა ორიოდე სიტყვის თქმა გვინდა.

კუმისი არის ერთგვარათ დამზადებული ცხენის რძე, რომელსაც სამარის გუბერნიის ბაშკირები და თათრები დიდი ხანია ხმარობენ დასუსტებული სხეულის გასამაგრებლათა და სხვა და სხვა ავათმყოფობისათვის. ეს ხალხები ზამთარში ცუდის ცხოვრებისაგან მუდამ ყვითლები, გამხდრები და დასუსტებულნი არიან; მაგრამ ზაფხულში, როდესაც კუმისის სმას იწყებენ, ფერი მოუდისთ, მაგრდებიან და ჯანმთელი შეიქნებიან.

ამ საუკუნის დამდეგს რუსეთის სწავლულმა ექიმებმა მიაქციეს ყურადღება კუმისსა და ხანდისხან თავის ავათმყოფებსაც ურჩევდენ სამარის გუბერნიაში წასვლას ცხენის რძის სასმელად. ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ ეს წამალი ძალიან უხდება განსაკუთრებით ისეთ ავათმყოფებს, რომელთაც გულის ტკივილი აქვთ და საზოგადოთ სხეულით დასუსტებულნი არიან. მაშინ ექიმებმა თვითონ პეტერბურღში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში გამართეს ისეთი საავათმყოფოები, სადაც კუმისს ამზადებდნენ და ამით არჩენდნენ ასე, რომ ამისთანა «კუმისის საავათმყოფოები» ამჟამად რუსეთში 25 ალაგას არის.

დიდის სიამოვნებით ვაცნობებთ მკითხველებს, რომ კუმისის მზადება ახლა ჩვენშიაც დაიწყეს: წელს ზაფხულს ექიმმა გ. ბ ა ბ ო ვ მ ა დაიწყო კუმისის მზადება სოფ. კეკეთში, უფ. ონიკოვის მამულში. ჩვენ გავიგონეთ, რომ ამჟამათ რამდენიმე კაცი სარგებლობს თურმე კუმისითა და თითქმის ყველანი კმაყოფილნი არიან და ამბობენ, ძალიან გვიხდეჲაო. უბედურება ის არის, რომ ჯერ-ჯერობით უფ. ბაბოვის კუმისი ცოტა არ იყოს ძვირათ ღირს, ზაფხულში სამ თუმნათ, და ამისგამო უბრალო ხალხი, რომელსაც, უფ ბაბოვის სიტყვითვე, ყველაზე უფრო ეჭირვება ეს წამალი, ძნელათ თუ ისარგებლებს ამ საშუალებითა. მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოთ კუმისის მომზადება სხვა ქვეყნებში უფრო ძვირათ ღირს, რადგან ჭაკი ცხენები და იმათი შენახვა ძვირათ ჯდება; ასე რომ ოდესსაში, მაგალითად, ერთ სეზონში, ზაფხულში, კუმისის სმა ექვს თუმნათ ღირს. წელს მაინც სიცხისა და გვალვისაგან ბაბოვის აგარის ცხენები ძალიან ცოტა რძეს იწველიდნენ, ასე რომ ის ხან-და-ხან ვერ აკმაყოფილებდა თავის პაციენტების მოთხოვნილებასა.

კავკასიის მედიცინის საზოგადოების ჟურნალში დაბეჭდილია უფ. ბაბოვის სტატია, სახელათ «რ ა მ დ ო ნ ი მ ე ს ი ტ ყ ვ ა კ უ მ ი ს ზ ე,» რომლიდამაც ჩვენ ეს ცნობები მოგვყავს. ამ სტატიაში უფ. ბაბოვი სხვათა შორის ამბობს, რომ ჩვენი უბრალო ხალხი, ცუდი საჭმლისა, ჰაერისა და საზოგადოთ შევიწროებული ცხოვრებისა გამო, ძალიან ხშირათ ხდება ავათ ფილტვების ავათმყოფობითა და სუსტდებაო. ამ შემთხვევაში ჩვენი უბრალო ხალხისათვის ჯანმთელობის მინიჭება, უფ. ბაბოვის სიტყვით, მხოლოთ იმათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობას შეუძლია, რომლის შემწეობითაც ისინი უკეთესი საჭმლისა და სადგომის შოვნას მოახერხებენ. ყოველ სხვა საშუალებასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმობას მხოლოთ დროებითი და კერძობითი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი უბრალო ხალხისთვისათ; და ამ საშუალებათა შორის, იმის აზრით, პირველი ალაგი კუმისს უნდა ეკუთვნოდეს.

---

## ტფილისის ერთმანეთის ნდობის საზოგადოების წესდებულება.

### III. საზოგადოების მოქმედება.

ტფილისის ერთმანერთ ნდობის საზოგადოებას ნება აქვთ შემდეგ ნაირათ იმოქმედოს:

**1**) სავაჭრო ვექსილებიდგან ფულის გამორიცხვა იმ პირობით რომ ვექსილზე წევრს გარდა იყოს ერთი მისთანა წევრისაგან მაინც კიდევ ხელმოწერილი, რომელსაც გამგეობა და მიმღები კამიტეტები (§§ 52 და 53) იცნობენ კეთილ საიმედოთ, ამ ვექსილების საწინდრათ უნდა შეიტანონ წევრებმა საზოგადოებაში: ა სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდები, საწევრო წილები (*пай*), აქციები, ობლიგაციები და საგირაო ფურცლები, რომელთაც ოთხმოც და ათი პროცენტი (90 $_0/^0$) საბირჟო ფასი მაინც უნდა ექნეს და მეტი აღარ მოაკლდესთ მთელი ექვსი თვის განმავლობაში, სანამ საწინდრათ ექნება საზოგადოებას; ბ, ძვირფასი მადნეულობა და ასსიგნოვკები ოქროსი, რომელიც კერძოპირების მადნებში ითხრება, საბირჟო ფასით არა მომეტებულ ოთხმოც და ათის პროცენტისა; ვ, საქონელი, რომელიც ადვილათ არ გაფუჭდება და გამგეობის განკარგულებით კარგს ალაგს არიან დაწყობილნი და რომელიც არიან მომეტებულ ფასათ სტრახოვოიში შეტანილნი სესხზე ერთი თვით მომეტებული ვადით. ამ გირაოებში მისცემენ სესხათ იმათი ნამდვილი ფასის ორს მესამედს და ამასთანავე თუ ამ საქონელზე პოლისები არიან საზოგადოებაში შენახულნი, აგრეთვე კონოსამენტები, ნაკლადნები და კვიტანციები ტრანსპორტის კანტორებისა, რკინის გზებისა, ცეცხლის გემთა საზოგადოებისა და საქონლის საწყობ ადგილებისა, არა მომეტებით ორი მესამედის ფასისა იმ საქონელთა, ან საპალნეთა, რომელნიც იქ მოხსენებულნი არიან, თუ რომ ეს საქონელი და საპალნეები იმავე ანგარიშით სტრახოვოიში არიან შეტანილნი, და დე უძრავი ქონება, რომელნიც არიან ქ. ტფილისში ან ტფილისის გუბერნიაში მიიღება ნახევარ ფასად.

შენიშვნა: წვრილფასიანს ვექსილებს უფრო ილებენ დიდ ფასიანს ვექსილებზე და მოკლე ხნიანს-დიდხნიანზე.

2, წარმავალი ანგარიშების გამართვა თავის წევრებისათვის.

3, წევრებზე გასესხება და ნდობის გამართვა არა უმეტეს ექვსი თვის ვადისა გირაოებით, რომელნიც უნდა იყვნენ: ან ა, სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდები, საწევრო წილები (*пай*) აკციები, ობლიგაციები და საგირაო ფურცლები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საბირჟო ფასი ოთხმოცდა ათი პროცენტი (90 $_0/^0$); ძვირფასი მადნეულობა და ასსიგნოვკები ოქროზე, რომელნიც კერძო მადნებში ითხრება არა უმეტეს ოთხმოც და ათი პროცენტიანი საბირჟო ფასისა (90 $^0/_0$) ადვილათ გაუფუჭებელი საქონელი, და კანოსამენტები, ნაკლადნები, კვიტანციები, ტრანსპორტის კანტორებისა, რკინის გზებისა, ცეცხლის გემებისა, საზოგადოებისა და საქონლის შემნახველ საზოგადოებათა. თუ რომ ის პირობებიც არის ასრულებული, რომელნიც მოხსენებულნი არიან ამ პარაგრაფის პირველი მუხლის მესამე პუნქტში შესახებ სტრახოვოისა და საქონლის ფასისა.

4. საზოგადოების წევრების და გარეშე პირების მინდობილებით დაპირებულ ფასათ ასრულება შემდეგ საქმეებისა: ვექსილებზე და სხვა სავალო ქაღალდებზე ფულის მიცემა, პროცენტების ძლევა კუპონებზე და თავის მიცემა ტირაჟში მოსულ ქაღალდებში, უცხო ქვეყნის ვექსილების და ძვირფასი ქაღალდების ყიდვა და გაყიდვა.

შენიშვნა: გარეშე პირის ანგარიშით საზოგადოება ყიდულობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იმისგან მიიღებს იმდენს ფულს რამდენიც საჭიროა.

5, როგორც საზოგადოების წევრებისაგან, ისე გარეშე პირებისაგან განსაზღვრულ ფასათ მიიღება შესანახავათ ყოველნაირ პროცენტიან ქაღალდებისა, დოკუმენტებისა და სხვა ძვირფასეულობისა.

6 როგორც საზოგადოების წევრებისაგან, აგრეთვე გარეშე პირებისაგან მიიღება გამოსარიცხველათ პროცენტიანი ქაღალდები, რომელნიც ტირაჟში ამოსულან და კუპონებისა.

7 როგორც საზოგადოების წევრებისაგან, ისე გარეშე პირებისაგან და დაწესებულებათაგან მიიღება შესანახი ფული პროცენტების ძლევით, როგორც უვადოთ, ისე ვადით სხვა და სხვა პირობისამებრ და განსაკუთრებით იმ პირობით, რომ ბილეთები შესანახ ფულის მიღების დასარწმუნებლათ, რომელსაც საზოგადოება აძლევს პატრონს, ას მანეთზე ნაკლებისა არ უნდა იყოს.

შენიშვნა: ვინიცობაა თუ საზოგადოებამ გასწმინდა ანგარიში საზოგადოების გასაუქმებლად, ან მოსასპობელათ საზოგადოების წევრებს მაშინ დაუბრუნებელ თავიანთს ფულს, რომელნიც მიულია საზოგადოებას იმათგან წარმავალ ანგარიშში, ან შესანახავათ, როდესაც გარეშე პირებს მისცემს იმათგან მიღებულს ფულებს.

8, მინდობით და განსაზღვრულ ფასათ ხელის მოწერის გამართვა საერო, საქალაქო და საზოგადო ვალის ალებაზე, აქციებზე, საწევრო წილებზე, და საგირაო ფურცლებზე, რომელთა გამოცემაც მთავრობას უნებებია იმ აზრით, რომ არავითარი ხელის მოწერა უცხო ქვეყნის ქაღალდებზე არ გამართონ საფინანსო მინისტრის ნება დაურთველად.

შენიშვნა: საზოგადოება არაოდეს თავის თავზე არ იკისრებს იმის საშუალებით გამართულს ხელის მოწერის წარმატებას.

9, კვლავ გამორიცხვა საზოგადოებისაგან გამორიცხულ ვექსილებიდგან ფულისა ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა მოსესხე დაწესებულებათა, აგრეთვე კერძო ფულის მეპატრონეებთან საზოგადოების თანდებობით და იმის გასამგებო წევრების ხელის მოწერით.

§ 13.

პროცენტების მეტ-ნაკლებობა და ვექსილებიდგან გამორიცხვის და ყოველნაირ სესხისთვის პირობები, აგრეთვე შენახვისთვის და წარმავალ ანგარიშისათვის პირობები განიმარტება გამგეობის რჩევისაგან და წინ და წინ გამოაცხადებენ ადგილობრივს გუბერნიის უწყებებში.

§ 14.

საზოგადოება, რომ გამოსარიცხველად ვექსილებს იღებს, იმის ვადა ექვს თვეზე მომეტებული არ უნდა იყოს.

§ 15.

ძვირფასი ქაღალდების და სხვა მოძრავი ქონების გირაოების შეტანა საზოგადოებაში სულ ადვილათ არი. გირაოს პატრონი გადასცემს იმას საზოგადოებას, მხოლოდ ზედ კი უნდა დააწეროს, რომ თუ ვალი თავის დროზე არ შემოვიტანო საზოგადოებას ნება აქვს ჩემი გირაოები გაყიდოსო, თანახმად § 22. საზოგადოება მოსესხეს აძლევს იმის გირაოების მიღების მოწმობას.

ამ მოწმობაში ნამდვილათ უნდა იყოს გამოცხადებული, რა ნაირი გირაოებია და რა პირობით უსესხებიათ იმაში ფული.

§ 16.

გამოსარიცხველ ვექსელში რომ ფულს აძლევს საზოგადოება მოსესხეს, იქიდგან საზოგადოების წევრს დაუჭერენ ყოველთვის ერთს მესამედს გამოსარიცხველს პროცენტისას. ამ საფუძვლით დაჭერილს ფულს წევრის ანგარიშში ჩანიშნენ და დაუბრუნებენ იმას იმ წლის მოგებასთან, რომელშიაც დაუჭირეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რჩევას ნება აქვს ვექსელიდგან გამორიცხული ფულის მიხედვით, დაუკლოს ამ პარაგრაფისამებრ გამოსარიცხველი ფული. ამნაირადვე დაუკლებენ განსაზღრულის ვადის განმავლობაში ყველა პირები, რომელნიც წარადგენენ ვექსილებს გამოსარიცხველათ იმ ვადის განმავლობაში.

§ 17.

გარეშე პირებიდგან და ადგილებიდგან მიღებული შესანახი ფულებისა და კვლავ გამორიცხული ვექსილებიდგან ფულის რიცხვი ერთად ხუთჯერ მეტად არ უნდა გადაემეტოს საზოგადოების ძირს თავნსა, რომელიც შედგენილია იმის წევრების ან პროცენტების შეტანით.

§ 19

საზოგადოების ბილეთები იქ შესანახ ფულებზე ყველა გასამგებო და სასამართლო ადგილებში მიიღებიან გირაოთ იმ ფასათ, რომელსაც საფინანსო მინისტრი დაადებს.

§ 18

საზოგადოების ბილეთები შესანახ ფულისთვის მიცემული დაიწერება იმისთანა ბლანკებზე, რომელნი შეიძლება გაკეთდენ სახელმწიფო ქაღალდების მოსამზადებელს ექსპედიციაში. ამისთანა ქაღალდების ფალშივათ გაკეთებისათვის დამნაშავენი იმავე ნაირათ დაისჯებიან, როგორც ფალშივი სახელმწიფო ქაღალდის მაკეთებელნი.

## VI გადახდევინება

§ 20

ყველა სადავო საქმეები და ფულის ძიება საზოგადოების სასარგებლოთ გამგეობის სახელით იწარმოება.

§ 21

თუ ანგარიშის გაწმენდის დროს საზოგადოებაში ზარალია, ყოველი წევრი მოვალეა, რამდენიც წილში ხვდება, იმდენი ფული შეიტანოს საზოგადოების ხაზინაში. ვინიცობაა რომელიმე წევრმა რომ არ აასრულოს ეს, გამგეობა გადაახდევინებს იმდენს, რამდენი ზარალის გადახდაც ამ წევრს წილში შეხვედრია, ქვემოთ 27 პარაგრაფში განმარტებული ჯარიმით ან იმისგან წარმოდგენის საზოგადოებაში საწინდრებიდგან და ამის დაგვარათ მოუკლებენ იმას ნდობასაც, ან თუ ამისთანა საწინდრები არ ყოფილა წარმოდგენილი —საზოგადო ქონებიდგან — კანონისაგან დადგენილი წესით და თუ წევრს ქონება არა აქვს რა, ან თუ წევრი მიუღიათ საზოგადოებაში თანახმად 8 პარაგრაფის მესამე პუნკტისა, მაშინ იმის წილს გადაახდევინებენ იმის თანდებ კაცებსა. ამასთანავე უპირო წევრი გამოირიცხება საზოგადოებისაგან, თუ ქონებითი საწინდარს არ წარადგენს საზოგადოებაში იმ სესხისათვის, რამდენიც მიცემული აქვს იმისთვის საზოგადოებას.

§ 22

თუ მოსესხემ დროზე არ შეიტანა საზოგადოებაში იმის განასესხი ფული მეთორმეტე პარაგრაფის მესამე პუნკტში გამოყვანილი გირაოების წარდგენით, მაშინ იმისგან დაგირავებული ძვირფასი ქონება მადნეული და სხვა საქონელი გაიყიდება საზოგადოებაშივე საყოველთაო დაფასებით ვადის შემდეგ ორკვირას; ასსიგნოვკები ოქროს მისაღებათ დარჩება საზოგადოებაში, სანამ ფულის მოსაჭრელ ქარხნიდგან მიღების ვადა მოუწევდეს, ან თუ იმის პატრონმა მანამდის არ გამოისყიდა. გირაოების გაყიდვით შემოსულ ფულიდგან საზოგადოება შეავსებს რაც იმას ერგება კანონით, დანარჩენიდგან ჯარიმას გადაახდევინებს, როგორც 27 § ნაჩვენებია და სხვას დაუბრუნებს გირაოს მეპატრონეს.

§ 23

თუ გამორიცხულ ვექსელით არ წარადგინა წევრმა ნასესხი ფული საზოგადოებაში, ამ ვექსელს პროტესტის შემდეგ წარადგენენ გადასახდევინებლად იმ წესით, რომელიც სავექსილო წესდებულებაშია ნაჩვენები,

§ 24

წევრებისაგან საზოგადოებაში წარდგენილი საწინდრათ უძრავი ქონება ნდობის მოსაპოებლათ და აღებული სესხისთვის თუ ვინიცობაა საზოგადოებამ დაიწყო ძიება თავის ვალისა, რომელიც ამ წევრისთვის მიუცია, ან საზოგადოების ზარალის შესავსებლათ, უნდა გაიყიდონ საზოგადო დაფასებით უკანასკნელ განცხადების ორითვის შემდეგ, რომელიც სამი კვირის განმავლობაში სამჯერ დაბეჭდილა და თუ ქონება დაფასებულია ოცდაათ თუმანზე მეტად, სატახტო ქალაქის გაზეთებშიაც. ვაჭრობა დაიწყება იმ ფასის გამოცხადებით რომელიც დაუდვიათ ქონებაზე იმის გირაოთ მიღების დროს.

§ 25

საყოველთაო დაფასებით გაყიდვა უძრავის ქონებისასაზოგადოებისრჩევის სხდომის დროს მოხდება და გადასწყდება კიდეც ქონების გაყიდვა, თუ შენაძლევი ფასით შეივსება: ა, იმის ხვედრი საზოგადოების ზარალი, ან ვექსილით აღებული სესხი საზოგადოებისაგან იმ ჯარიმიანა, რომელიც 27 § მოხსენებული, და სარგებლიანა იმ დღემდის, როდესაც ვალი გადაიხადა, აგრეთვე სხვა ვალები სხვა ვექსელებით აღებული ვალები იმავე ქონების დაწინდრებით, და ბ, ყველა ხარჯი, რაც საზოგადოებას მოუვიდა ქონების გაყიდვის დროს და ვადაგასულ ვექსილების პროტესტით.

§ 26

თუ ქონების გაყიდვის დროს შენაძლევ ფასით ქონების მეპატრონის ყველა ვალები ვერ გადაიხდება, საზოგადოებას შეუძლიან

ერთი თვის შემდეგ დანიშნოს ახალი საყოველთაო დაფასებით ვაჭრობა, ან და ამ ქონებას დაირჩენს თავის საკუთრად და ერთის წლის განმაველობაში, როგორც უნდა ისე გაყიდის. აღებული ფასით დააკმაყოფილებენ ნოტარიუსთან გაცხადებით ყველა ვალებს დამოთხოვნილებას იმავე წესით, თითქოს საყოველთაო ვაჭრობით გაყიდულიყოს. დანარჩენი ფული თუ რამე დარჩა დაუბრუნდება გაყიდულ ქონების მეპატრონეს, ან არა და თუ სხვა მოვალეები აღმოჩნდენ იმათ დასაკმაყოფილებლათ გაიგზავნება.

§ 27

ყოველ ვალზე, რომელიც წევრმა უნდა გადაუხადოს საზოგადოებას და ვადაზე ვერ შეუტანია ჯარიმათ ნახევარი პროცენტი დაედება მოვალეს ყოველ ნახევარ თვეზე, იმ დღიდგან დაწყებული, როცა ვადა გასულა ვალის გადახდამდის, ან გადახდევინებამდის იმ წესებით, რომელნიც § § 21—26 ნაჩვენებნი არიან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ ნახევარი პროცენტის აღრიცხვის დროს თვის დაწყებიდგან ყველა დღეები თხუთმეტამდის ნახევარ თვეთ ითვლება.

§ 28

წევრს რომ სახელმწიფო და კერძო პირების ვალები თავს დაატყდეს, იმის გადასახდელად იმ ქონებას, რომელიც საზოგადოებაში შეტანილი საწინდრათ, ვერ შეეხებიან და ამ ქონების გაყიდვის შემდეგ ამ ფულით ჯერ საზოგადოების ვალი გადაიხდება ხაზინისა და კერძო პირების და საზოგადო ვალების დაკმაყოფილების უმალ, გარდა ნედოიმკისა (§ 5) საერო, საქალაქო და სახაზინო ხარჯის ძლევაში.

### გ ა მ გ ე ო ბ ა.

§ 29

საზოგადოების საქმეებს განაგებენ: ა, საზოგადო კრება; რჩევა; გ, გამგეობა, და დ, მიმღები კამიტეტი.

### ა: საზოგადო კრება.

§ 30

საზოგადო კრება შედგენილია მთელი საზოგადოების წევრებისაგან და წელიწადში ერთხელ იკრიბება. მარტის თვეზე გვიან აღარ მოხდება ეს კრება. ამას გარდა წევრის თხოვნით, რომელთაც წერილით უნდა განაცხადონ ეს საქმე, უნდა მოუწოდონ სამძიმო საზოგადო შეკრებილებას.

§ 31

ამ· საზოგადოების კრების შეყრაზე ორი კვირის წინათ უნდა გამოცხადდეს ადგილობრივს გაზეთებში და მთავრობის უწყებაში. სამძიმო საზოგადო შეკრებილების თაობაზე ამისთანა განცხადებას გარდა წევრებს მიუათ თავ-თავის სადგომზე საკუთარი უწყებები და ამ უწყებებში იქნება ნამდვილათ გამოცხადებული, რაზე ექნებათ საზოგადო შეკრებილება.

§ 32

თუ საზოგადოებაში მოვიდენ სამუშაოთავნის ერთი მესამედის წარმომადგენელნი, მაშინ საზოგადო შეკრებილების გადაწყვეტილებანი ჩაითვლებიან კანონიერათ და გამგეობა, რჩევა მიმღები კამიტეტი და ყველა საზოგადოების წევრები მოვალენი ჰხდებიან დაემორჩილონ ზემოხსენებულთა გადაწყვეტილებათა. თუ პირველი განცხადებით არ შეიკრიბა იმდენნი წევრნი, რამდენიც საჭიროა საქმეების განსასჯელათ, მაშინ დანიშვნენ მეორე კრებას ორი კვირის შემდეგისათვის და ამ შეკრებილებაზე რაც გადაწყდება, იმაზე ყველანი თანახმა იქნებიან, მაგრამ აქ მხოლოდ ის საქმეები განიხილება, რომელიც ვერ შესდგა.

§ 33

სანამ საქმე დაიწყებოდეს საზოგადო შეკრებილებაში ყოველთვის ამოირჩევენ ერთს რომელსამე მოთავე კაცს იმის ამორჩევამდის მოთავეთ იქნება ან რჩევის მოთავე, ან იმის მაგიერი. ყოველ წევრს საზოგადოებისას აქვს ერთი ხმა და შეუძლიან სხვის რწმუნებით ორი ხმა კიდევ ჰქონდეს. სამ ხმაზე მომეტებული საზოგადოებაში არავის მიეცემა, საზოგადოების გადაწყვეტილება დამტკიცდება წევრთა ხმის უმეტესობით, იმ საქმეებს გარდა, რომელნიც გამოცხადებული არიან § 6 და 34 § 5 მუხლში. თუ ხმების სიმრავლე წევრებში გათანასწორდა, მაშინ რომელს მხარეზედაც მოთავე კაცი იტყვის, იმ მხარეს დარჩება საქმის გადაწყვეტა.

წესდებულების გამოცვლისათვის და საზოგადოების საქმეების გაწმენდისა და საზოგადოების გაუქმებისათვის, თუ გარემოებამ მიუცილებლათ არ მოითხოვა ეს ამბავი, უსათუოდ სამი მესამედი კრებისა ყველა წევრთა მაინც თანახმა უნდა იყოს. ამას გარდა წესდებულების შეცვლის გადაწყვეტა და მთავრობის წინაშე ამის თხოვნა უნდა გადაწყდეს უსათუოდ ორს კრებაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ხმის რწმუნება ვიზედმე შეკრებილებაში სამი დღით ადრე უნდა განაცხადოს წევრმა გამგეობაში.

§ 34

საზოგადო კრების გასახილველი საქმეები შემდეგნი არიან:

1, რჩევის დეპუტატების ამორჩევა, რევიზიის კამისიის წევრთა ამორჩევა, რომ იმათ განიხილონ და შეამოწმონ კრების შემდეგ წლის ანგარიშები, იმათი კანდიდატების ამორჩევა და დანიშვნა საზოგადოების დირექტორებისა.

2, განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა ყველა წარმოებისა და საზოგადოების საქმეთა მდგომარეობის შესახებ ყოველ წლის გასულს და ყოველ წლის დაწყების წინ ხარჯის აღწერილობისა და რაც რევიზიის კამიტეტს წარუდგენია, იმის დამტკიცება.

3, მოგებათა განაწილება.

4, განხილვა და ნების დართვა გამგეობის რჩევის და საზოგადოების წევრთა, მოსაზრებათა, აგრეთვე ყველა საქმეთა, რომელნიც გამგეობას და რჩევას მარტო თავის ძალით არ შეუძლიანთ გადასწყვიტონ, ან მოახდინონ.

5, განსჯა იმ მუხლებისა, რომელნიც უნდა გამოსცვალონ წესდებულობაში;

6, რჩევის წარდგინებისამებრ განწესება ჯამაგირისა გამგებლისა და სხვა პირებისთვის, რომელნიც ემსახურებიან საზოგადოებაში;

7, გადაწყვეტილება საზოგადოების საქმეების ანგარიშის გაწმენდაზე და საზოგადოების გაუქმებაზე.

(შემდეგი იქნება)

---

Дозволено цензурою Тифлисъ 30 Іюля 1872 г. გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის. სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.